სსიპ კოლეჯის „მოდუსი“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვალერი ჯაჯანიძე

წევრები: ირმა ღარიბაშვილი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **მოდუსი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **216350829**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 28 მაისის №635814 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს, შემადგენლობით: ვალერი ჯაჯანიძე - თავმჯდომარე, ირმა ღარიბაშვილი - წევრი, დაევალა ქ. რუსთავში, სსიპ კოლეჯის "მოდუსი" მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ კოლეჯის "მოდუსი" მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2026 წლის 23 ივნისს განახორციელა ვიზიტი, ქ. რუსთავში, მისამართზე ჟ. შარტავას გამზირი N4, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური და სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა, სასწავლო პროცესის პრაქტიკული ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

2026 წლის 09 ივლისს ექსპერტთა ჯგუფთან წარმოდგენილი იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის ამსახველი წერილი, რომლის თანახმადაც პსდ იზიარებს ექსპერტების პოზიციას და ეთანხმება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დირექტორის 25.06.2026 წ. ბრძანება №798925
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. რუსთავი, შარტავას გამზ.N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ დამატების შესახებ, ეფუძნება კოლეჯის 2026 წლის 23 აპრილს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან წარდგენილ დასაბუთებას (მიზანშეწონილობის არგუმენტირების ცხრილი), რომლის პასუხად 2026 წლის 27 აპრილს კოლეჯს მიღებული აქვს შესაბამისი თანხმობის წერილი MES 7 26 0000482415. დასაბუთების დოკუმენტის თანახმად, პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება ეფუძნება შრომის ბაზრისა და საზოგადოების მხრიდან მოთხოვნას, კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმას, რეგიონის სპეციფიკას და საჭიროებებს, დაწესებულების გამოცდილებას (პროგრამა ხორციელდება 2020 წლიდან), პროფესიულ სტუდენტთა ან/და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ თვითშეფასების ფორმაში არსებული მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი გვაძლევს სრულ სურათს პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ, აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის კვლევები, როგორც რეგიონის ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით, მსგავსი დასახელების პროგრამას კოლეჯი ახორციელებს 2020 წლიდან, კოლეჯის მიერ წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის კვლევის ანალიზი, დასაქმების მაჩვენებელი 2024 წლის მიღების ნაკადის შემთხვევაში, სრულწლოვან კურსდამთავრებულთა 50%-ს შეადგენს, ხოლო თვითდასაქმების მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა 2026 წლის 27 აპრილით დათარიღებული, განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის წერილი MES 482415, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თაობაზე.

პსდ-ს გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ განხორციელებასთან დაკავშირებით შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, კერძოდ დაწესებულების მისიაა ,,ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიონალების მომზადება მრავალპროფილური, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლების მიწოდების გზით”. კოლეჯის გადაწყვეტილება წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და განხორციელების შესახებ ეფუძნება პსდ-ს დირექტორის 2024 წლის 15 თებერვლის №164127 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველ სტრატეგიულ მიზანს, რაც თავის მხრივ განმტკიცებულია მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამით და წარმოადგენს საბაზო განათლება, რაც თავის მხრივ სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებთან.

აპლიკანტთა შერჩევა-ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის მიერ 2025 წლის 21 იანვრის №37715 დამტკიცებული დოკუმენტით „სსიპ კოლეჯ მოდუსში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესისა და პირობების“ შესაბამისად. დოკუმენტში გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს დაწყებული პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან დასრულებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება გასაუბრების, ან შემოქმედებითი ტურის, ან შემთხვევის განხილვის (ქეისი) მეთოდით, კონკრეტული დარგის შესაბამისი პროფესიული პროგრამის საჭიროების მიხედვით. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანებას (ბოლო ცვლილება: 2024 წლის 24 ივნისი საქართველოს განათლების, მეცნიერ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია 26/06/2024 წლის N 01-04/107 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის წესი“, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას: დაინტერესებულ პირთა კონსულტირებით, რეგისტრაციით, შერჩევით, საკონკურსო კომისიის ჩამოყალიბებით და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

სსიპ კოლეჯში ,,მოდუსი“ მოქმედებს დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც გაწერილია დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 21 იანვრის # 37601 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია". წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე განისაზღვრება პროგრამის განხორციელების მიდგომისა და სპეციფიკის გათვალისწინებით საჭირო მატერიალური და ადამიანურ რესურსი, სასწავლო გარემოთა ტიპი და ოდენობა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 30 პროფესიული სტუდენტი. პსდ-ს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს ერთი სალექციო აუდიტორია - A გარემო, 15 პროფესიულ სტუდენტზე და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის საჭირო - C გარემო შესაბამისი ინვენტარით 15 პროფესიულ სტუდენტზე. შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 30 პროფესიული სტუდენტით, სასწავლო პროცესის ორ ცვლაში წარმართვის პირობით, 15 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მოცემული პროგრამის განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსის მინიმალური სარეკომენდაციო ნუსხა, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილი პირი განისაზღვრება კოლეჯის ,,მოდუსი“ 2025 წლის 21 იანვრის # 37601 (ცვლილება, დირექტორის 16.02.2026 წ. №170852 ბრძანება) დამტკიცებული დოკუმენტის ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია". საფუძველზე და შესაბამისად აღნიშნული უფლებამოსილება აქვს კოლეჯის დირექტორს.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 25.06.2026 წ. №798925 ბრძანებით.

ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

კოლეჯის ,,მოდუსი“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, რომელიც გამომდინარეობს შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდებიდან, აღნიშნული სახელწოდება სრულად მოდის შესაბამისობაში პროგრამის შინაარსთან და მისაღწევ სწავლის შედეგებთან, შესაბამისად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ დამუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ საფუძველზე.

წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ მისია;
- სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია";
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობები“;
- განაცხადის დანართის სახით წარმოდგენილიპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- კოლეჯის ,,მოდუსი“ დირექტორის ბრძანება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა ეფუძნება სსიპ კოლეჯის მოდუსის 2026 წლის 19 თებერვლის N191654 ბრძანებით დამტკიცებულ „სსიპ კოლეჯი მოდუსის ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიას".

პროგრამის რესურსები და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" განისაზღვრება შემდეგი ფაქტორების მიხედვით:

პროგრამით განსაზღვრული მოდულების სწავლებისთვის, დაწესებულებას გამოყოფილი აქვს A/C გარემო, რომელიც აღჭურვილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის კოლეჯის საკუთრებაში არსებული B კორპუსის შენობის ოთახი N112 - საერთო ფართით 84.66 კვ.მ (სულ 30 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში). გარემო სრულად შეესაბამება სასწავლო პროცესის საჭიროებებს. სასწავლო გარემო აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით - სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდით, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი). ასევე გარემო სრულადაა აღჭურვილი პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო მატერიალური რესურსით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით შესაძლებელია ერთ ჯგუფში 15 სტუდენტის მიღება, სულ ორი ცვლის ფარგლებში 30 სტუდენტის მიღება.

დაწესებულება წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულებიდან 2 ზოგად და 2 პროფესიულ მოდულზე საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესს წარმართავს დისტანციური მეთოდით, კოლეჯის აღნიშნული გადაწყვეტილება სრულად მოდის შესაბამისობაში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ ჩანაწერთან, რაც შეეხება სასწავლო პროცესის დისტანციური მეთოდით განხორციელების საკითხს, აღნიშნული რეგულირდება დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის №168969 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით ,,სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის წესი", რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №143/ნ ბრძანებით დამტკიცებულ რეგულაციასთან ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" და მოიცავს ინფორმაციას დისტანციური სწავლების მოდელების, დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების, დისტანციური სწავლების სასწავლო რესურსების, სტუდენტთა აღრიცხვის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტთა შეფასების და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. დისტანციური სწავლების განხორციელებისთვის დაწესებულება გამოიყენებს Zoom; Microsoft Teams პლატფორმებს, რომლებიც წარმოადგენენ სტაბილურ, უსაფრთხო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

საგანმანათლებლო პროცესისთვის შესაფერის ციფრულ ინსტრუმენტს. აღნიშნული პლატფორმები უზრუნველყოფენ, მარტივ და ხელმისაწვდომ ჩართულობას მონაწილეთათვის. დამატებითი ტექნიკური ცოდნის ან რთული პროგრამული უზრუნველყოფის საჭიროების გარეშე. წვდომა აღნიშნულ პლატფორმებზე შესაძლებელია როგორც კომპიუტერებზე ასევე, მობილურ მოწყობილობებზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სოფლის რეგიონებში მცხოვრები მონაწილეებისთვის. აღნიშნული პლატფორმების გამოყენებით შესაძლებელია ეკრანის გაზიარება, სასწავლო მასალების (ვიდეო, ფოტო, დოკუმენტები, პრეზენტაციები) რეალურ დროში წარდგენა, კითხვა-პასუხის რეჟიმის მართვა და დისკუსიების ორგანიზება. ელექტრონული პლატფორმის გამოყენებისას სასწავლო პროცესი დაცული იქნება წვდომის კონტროლით, რაც უზრუნველყოფს მხოლოდ რეგისტრირებული მონაწილეების ჩართულობას სასწავლო პროცესში და მონაცემთა კონფიდენციალურობას.

აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში სწავლების დისტანციურად განხორციელებისთვის კოლეჯის მიერ შერჩეული ელექტრონული საკომუნიკაციო პლატფორმები წარმოადგენენ ეფექტურ და თანამედროვე ტექნოლოგიურ გადაწყვეტას, რომელიც სრულად პასუხობს, როგორც პროგრამის განმახორციელებლების ასევე, პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 11. მათ შორის 3 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი, 6 - ზოგადი მოდულების და 2 ქართული ენა A2 მოდულის. პირადი საქმეებით დასტურდება მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პირები სწავლებას ახდენენ სხვა პროგრამების ფარგლებშიც. მიუხედავად ამისა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვა არ ეწინააღმდეგება ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსს“. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლა და მათთან გასაუბრება, რის შედეგადაც დადგინდა. წარმოდგენილი მასალები დამაკმაყოფილებელია და პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენცია იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. ამას ადასტურებს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტაცია: დიპლომები და სერთიფიკატები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლების უმეტესობას გავლილი აქვთ ტრენინგი ,,პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი", რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და წარმოდგენილია შესაბამისი სერტიფიკატები, აღნიშნული ტრენინგ-კურსის თემატიკის ერთ-ერთი კომპონენტია მოდულური სწავლების თავისებურებები. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს მაღალი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით, ხოლო მასთან გასაუბრებით დადასტურდა მისი მზაობა პროგრამას უხელმძღვანელოს სათანადო დონეზე. მისი ფუნქციები და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება მასთან გაფორმებული შეთანხმებით. ექსპერტების ჯგუფის მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადასტურდა მისი ჩართულობა პროგრამის მოდიფიცირებისა და განხორციელების პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სასწავლო რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც მოხდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და მუდმივად წარმოებს ყოველდღიური აღრიცხვის ჟურნალის შევსება. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. ვიზიტის პერიოდში გადამოწმებისას ადგილზე აღმოჩნდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი მოძიებადია და შეესაბამება მოდულში გაწერილ თემატიკას.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

დაწესებულებაში მოქმედი დირექტორის 05/04/2019 წლის №82 ბრძანებით (ბოლო ცვლილება დირექტორის 26/03/2026 წლის №365211 ბრძანება) დამტკიცებული რეგულაციის „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ 29-ე მუხლში აღწერილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიდგომები და შესაბამისი მომსახურების გაწევის სხვა მექანიზმები, მათ შორის მოდიფიკაციისა და აკომოდაციის შესაძლებლობები და სასწავლო რესურსის ადაპტირების საკითხები. ინფორმაციას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობებისა და რესურსის საჭიროებების შესახებ დირექციას წერილობით აცნობებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გარემო და კოლეჯის საერთო სარგებლობის სივრცეები სასწავლო გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ/შშმ პირების ოპერირებისთვის. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. სასწავლო კორპუსში მოწყობილია პანდუსი, ბილიკები სსსმ/შშმ პირებისთვის, სველი წერტილები ყველა სართულზე და არის ლიფტი. კოლეჯს აქვს ყველა პირობა იმისთვის, რომ სურვილის შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობების სტუდენტებმა შეძლონ სასწავლო რესურსებით და სივრცეებით სარგებლობა.

ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯს პროგრამაზე ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ დამუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის სავარაუდო შემოსულობებისა და ხარჯვითი კომპონენტის ამსახველი დოკუმენტი წარმოდგენილი იქნა დაწესებულების მიერ, ბიუჯეტი ეფუძნება ვაუჩერულ დაფინანსებას, განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი 9 პროფესიული სტუდენტი, დოკუმენტი მოიცავს პროფესიული მასწავლებლების ანაზღაურებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის საჭირო რესურსების შეძენაზე გაწეულ ხარჯებს. წარმოდგენილი ინფორმაციის შეფასების შედეგად ვლინდება, რომ პროგრამა ფინანსურად მდგრადია და მის განხორციელებას საფრთხე არ დაემუქრება.

ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ განსახორციელებლად საჭირო A და C გარემოს ვიზუალური დათვალიერება და აღჭურვილობის ჩამონათვალი;
- ინტერვიუ შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან;
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები;
- პროგრამის ხელმძღვანელთან გაფორმებული შეთანხმება;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- კოლეჯის ,,მოდუსი“ დირექტორის ბრძანება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულებაში პროგრამის შეფასება ხორციელდება სსიპ კოლეჯის „მოდუსი“ დირექტორის 2025 წლის 21 იანვრის №37601 (ბოლო ცვლილება 16/02/2026, №170852 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია” შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების ძირითად პროცესებს. კერძოდ დოკუმენტის მე-6 მუხლის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითრების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მონაცემების შეგროვება, დამუშავება, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა, რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი იყენებს პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვებს და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ახორციელებს მაკორექტირებელი ღონისძიებების დაგეგმვასა და გატარებას.

დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა/პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით;

გასაუბრებების და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ატარებს პერიოდულ კვლევებს, წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროფესიული სტუდენტების შეფასებებს. მიმდინარე ეტაპზე კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იქნა მოქმედი (მილევად რეჟიმში არსებული ავტორიზებული) პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზი.
ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯში არსებული რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 5 ნოემბრის N334 ბრძანებით (ბოლო ცვლილება დირექტორის 02/12/2025 წ. №1710300 ბრძანება) დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომელიც ეყრდნობა PDCA (დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე) ციკლს და გულისხმობს დაწესებულებაში მიმდინარე ძირითად და დამხმარე პროცესებში აღნიშნული ციკლის ინტეგრირებას. ხარისხის უზრუნველყოფა მოიაზრებს პროცესების იდენტიფიცირებას, დაგეგმვას, განვითარებას, წლიური მონიტორინგის გეგმის შედგენას, მონიტორინგის განხორციელებას და პროცესების შეფასებას.
კოლეჯი ახდენს სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მორგებას და ახალი კვალიფიკაციების მიხედვით პროგრამების დამატებას.
კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს პროგრამაში ცვლილების განხორციელების პრაქტიკა, რაც ვლინდება წარმოდგენილი პროგრამის დამატების პროცესითაც, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ წარმოდგენილი პროგრამის განვითარებული/გაუმჯობესებული ვერსია დაკავშირებულია ახალი პროფესიული სტანდარტის დამტკიცებასთან, რომლის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდა კოლეჯის ,,მოდუსი“ შესაბამისი დარგობრივი პროფილის პერსონალი.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია”
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ განაცხადის დანართებში წარმოდგენილია სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმებით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მოქმედი (მილევადი სტატუსის მქონე) პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით გაწერილი კალენდარული გეგმების შესაბამისობის შემოწმება და დადგინდა, რომ კალენდარული გეგმები სასწავლო გეგმაში გაწერილი თარიღების შესაბამისია, მოიცავს მოდულით განსაზღვრულ თემატიკას.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტების სტატუსის, უფლებებისა და ადმინისტრაციული პროცედურების მართვა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 05/04/2019 წლის №82 ბრძანებით (ბოლო ცვლილება დირექტორის 26/03/2026 წლის №365211 ბრძანება) დამტკიცებული რეგულაციის „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ საფუძველზე. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს: პროფესიული სტუდენტის უფლება/მოვალეობებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესებს, მობილობის განხორციელების პირობებს, მიღებული განათლების აღიარების პრინციპებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.
დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ვლინდება, რომ მათ აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გაითვალისწინონ პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა, ხოლო პროგრამითა და მოდულებით მისაღწევი შედეგები, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. თუმცა, თუ ფორს-მაჟორული სიტუაცია დადგება ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზით ვერ მოხერხდება სასწავლო გეგმის დაცვა, ისისნი მოქნილად, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მოახდენენ რეაგირებს მსგავს გარემოებებზე, როგორც ჯგუფებისთვის, ისე ინდივიდუალურ გამოწვევებზე. კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

პროგრამა აღჭურვილია სწავლის შედეგის მიღწევისთვის საჭირო ყველა მატერიალურ-ტექნიკური რესურსით და შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიებით.

ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

დაწესებულების „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ განსაზღვრული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს თუ: სსსმ პირი, სწავლობს საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მობილობით გადმოსულია პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან ან პროფესიული სტუდენტი საკუთარი განცხადებით ითხოვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, რადგან ვერ აღწევს სწავლის შედეგებს, პირი რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და/ან ადმინისტრაციის სპეციალისტი შესაბამისი მოდულის/სწავლის შედეგის პროფესიული განათლების მასწავლებელთან/ინსტრუქტორთან ერთად გონივრულ ვადაში სსსმ/შშმ პირის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება მოდულის/საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტის მოდიფიკაცია ან აკომოდაცია. ვიზიტის ფარგლებში კოლეჯმა წარმოადგინა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული მოდულები და გამარტივებული შეფასების ინსტრუმენტები. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ინკლუზიური განათლების სპეციალისტს, რომლისგანაც მიიღო ამომწურავი ინფორმაცია მოცემული, კონკრეტული შემთხვევის მართვის პროცედურების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" სსიპ კოლეჯის ,,მოდუსი" მიერ ხორციელდება იმიტაციურ სამუშაო გარემოში, შესაბამისად აღნიშნული პროგრამის განხორციელების ფარგლებში კოლეჯი არ იყენებს პარტნიორ ორგანიზაციას და სრულად საკუთარი რესურსით წარმართავს სასწავლო პროცესს.

ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია საჭირო უსაფრთხოების დაცვის საშუალებებით. სასწავლო გარემო აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ცეცხლმაქრებით. გამოკრულია ცეცხლმაქრების გამოყენების წესები. სასწავლო გარემოში არის ბუნებრივი ვენტილაცია. პროფესიული სტუდენტებისთვის შეძენილია ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, მათ შორის სპეც. ტანსაცმელი, რომელიც ინდივიდუალურად გადაეცემა მათ. სასწავლო სივრცეში განთავსებულია პირველადი დახმარების ჩანთა. მეცადინეობებზე გამოიყენება ახალი, ქარხნული წარმოების ელექტრო ხელსაწყოები. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ყოველი მეცადინეობის დაწყებამდე, პროფესიული სტუდენტები ეცნობიან უსაფრთხოების ნორმებს და ხელსაწყო-იარაღების უსაფრთხოდ გამოყენების წესებს.

ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო გეგმა/გეგმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" პაკეტი.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

კოლეჯის დირექტორის 05/04/2019 წლის №82 ბრძანებით (ბოლო ცვლილება დირექტორის 26/03/2026 წლის №365211 ბრძანება) დამტკიცებული რეგულაციის „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ მე - VI თავი განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესს, რეგულაციაში მოცემულია განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის მენეჯერისათვის წარდგენის ვალდებულება და ვალიდაციის საკითხები, ვალიდატორი შესაძლოა იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან იმავე პროგრამის სხვა მოდულის მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. პირველ ეტაპზე ვალიდატორი ადასტურებს „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში“ მოცემული დავალების თავსებადობა-შესაბამისობას სწავლის შედეგით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებას, მტკიცებულებასა და თემატიკის მიმართ. ვალიდაციის ეტაპზე, შეფასების ინსტრუმენტში რაიმე შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში იგი უბრუნდება მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, შემდგომი გადამუშავების მიზნით. რეგულაციით განსაზღვრულია ხარვეზის შემთხვევაში კორექტირების პირობები და ვადები, ასევე პროფესიული სტუდენტების წინასწარი და შეფასების შედეგების შესახებ ინფორმირების, დამატებითი კონსულტირებისა და დამატებითი შეფასების შესაძლებლობის თაობაზე ინფორმაცია. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა შეფასების სისტემის, კერძოდ ვალიდაციის პროცესის განხორციელების პრაქტიკა, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ იქნა შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც ასახავს ვალიდაციის სისტემის გამართულ მუშაობას, ასევე ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში ჩართულ სხვა პერსონალს, შედეგად დადასტურდა კოლეჯში შეფასების სისტემის ნორმალური ფუნქციონირების პრაქტიკა.

ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 5 ნოემბრის N334 ბრძანებით (ბოლო ცვლილება დირექტორის 02/12/2025 წ. №1710300 ბრძანება) დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომელშიც აღწერილია ვერიფიკაციის მიზნები, მიმართულებები, ყოველწლიური განხორციელების აუცილებლობა, ჯგუფის დაკომპლექტების პირობები/შეზღუდვები, კერძოდ ვალიდაციაში მონაწილე პირისთვის ვერიფიკაციაში მონაწილეობის შეუძლებლობა, განსაზღვრულია ვერიფიკაციის ჯგუფის წევრთა ფუნქციები, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შერჩევის რისკ-ფაქტორები. დოკუმენტის თანახმად, ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ ივსება ვერიფიკაციის დასკვნა, რომლის საფუძველზეც ხარისხის მართვის მენეჯერი ადგენს ვერიფიკაციის ანგარიშს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

და წარუდგენს დირექტორს, რის შემდეგაც დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში ეკისრება მაკორექტირებელ ღონისძიებებზე პასუხისმგებლობა. დოკუმენტში მოცემულია სისტემაში დამკვიდრებული ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი ცხრილი.

ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს ვერიფიკაციის პროცესს, რომელიც ხორციელდება სამი მიმართულებით:

ა) შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;

ბ) პროცესის ვერიფიკაცია;

გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა არსებული პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული ვერიფიკაციის ანგარიშები.

ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

კოლეჯის დირექტორის 05/04/2019 წლის №82 ბრძანებით (ბოლო ცვლილება დირექტორის 26/03/2026 წლის №365211 ბრძანება) დამტკიცებული რეგულაციის „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ მე - VI თავი განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესს, რომლის მიხედვითაც მოდულის დასრულების შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებლები მოგროვებულ მტკიცებულებებს შენახვისა და ელექტრონულად აღრიცხვის მიზნით, გადასცემენ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირს. პროფესიულ სტუდენტთათვის კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურის დასრულების შემდეგ გადაეცემა არქივს 3 წლით შენახვის მიზნით, რის შემდეგაც ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს. რაც შეეხება სტუდენტთა შეფასების უწყისების შენახვა - აღრიცხვა ხდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-Flow) საშუალებით, სადაც აღირიცხება მონაცემები და ინახება უვადოდ.

ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კოლეჯის დირექტორის 05/04/2019 წლის №82 ბრძანებით (ბოლო ცვლილება დირექტორის 26/03/2026 წლის №365211 ბრძანება) დამტკიცებული რეგულაციის „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ მე - VI თავი განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენების შესაძლებლობას, კერძოდ პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომლის საფუძველზეც პროფესიული განათლების მასწავლებელი სტუდენტების ცოდნა/უნარების შესაბამისად გეგმავს სწავლების პროცესს, ასევე აძლევს რეკომენდაციას სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.
პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური კონსულტირების გზით, პროფესიული განათლების მასწავლებელი აცნობს თავის მოსაზრებებს და სტუდენტთან ერთად ეძებს გზებს სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. პიროვნული თავისებურებებიდან და ინტელექტუალუტი შესაძლებლობებიდან გამომდინარე განსხვავებულია მიდგომაც.

ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“;
- არსებული პრაქტიკის შეფასების შედეგები;
- ,,შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის, შენახვისა და არქივირების წესი“;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ვიზიტის დღის წესრიგი.

თარიღი: 06.07.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: